ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№22 (6397) 21 თებერვალი ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

დღეს ნომერში:

* საარჩევნო კომისიები
* მომპირნედ, უაირათიანად
* მშენებლობა

II გვ

* უკეთ ვასწავლოთ ჩვენი ერის ისტორია
* სამკურნალო მცენარეები

III გვ

## სალხის ინტერესები უპირველეს ყოვლისა

18 თებერვალს თბილისში მთავრობის სახლთან გაიმართა მრავალათასიანი მიტინგი. აქ გამოსულმა ორატორებმა—საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ, უზენაესი საბჭოს წევრებმა თეიმურაზ ქორიძემ და მანანა ძოძუაშვილმა, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გიორგი ხოშტარიამ და სხვებმა აღნიშნეს, რომ კვლავ გრძელდება განსაცდელის ჟამი ჩვენი ხალხისათვის. საქართველოში არ არის ინტერფრონტი, ძლიერი კომპარტია, ამიტომ კრემლი დასაყრდენად ეძებს სხვა ძალებს, რომლებიც მოქმედებენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშით.

უკანასკნელ დღეებში, ითქვა, მიტინგზე, მთელ რიგ რაიონებში —ყვარლის, გურჯაანის, კასპის და სამტრედიის რაიონებში მოხდა პროვოკაციები, ხელისუფლების წარმომადგენლებზე თავდასხმები. ამით, განაცხადეს ორატორებმა, კიდევ უფრო ამწვავებენ ვითარებას, ამზადებენ ნიადაგს რესპუბლიკაში ახალი სამხედრო ინტერვენციისათვის.

დიახ, ჩვენც ვგმობთ სამხედროების მიერ ძალის გამოყენებას ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქეთა წინააღმდეგ, მაგრამ, ამავე დროს, არ შეიძლება თვალი ავარიდოთ ხელოვნურად პროვოცირებულ კონფლიქტებსაც არმიის ქვეგანაყოფების წარმომადგენლებთან. ორატორების აზრით, ასეთი შეტაკებები კრემლის „მხედრიონის" მიერ არის ინსცენირებული და ამას შეიძლება საქართველოში ბალტიისპირეთის ამბების გამეორება მოჰყვეს, საფრთხე შეუქმნას ხალხის მიერ არჩეულ პარლამენტს, რესპუბლიკის მთავრობას.

ჩვენ სხვებზე ნაკლებად როდი ვართ დაინტერესებული, რომ საქართველოდან გაიყვანონ საბჭოთა არმიის ნაწილები, აღინიშნა მიტინგზე, მაგრამ უნდა ვიყოთ რეალისტები—ამისათვის საჭირო იქნება კიდევ გარკვეული დრო. ამავე დროს, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბთან 23 თებერვლისათვის დანიშნული აქციის განხორციელება ხელს აძლევს ჩვენს მოშურნეებს, მას შეიძლება ძალზე არასასურველი შედეგები მოჰყვეს...

## ვითარება ცხინვალში

17 თებერვალს საღამოდან 18 თებერვლის დილამდე ქალაქ ცხინვალსა და მის მიმდებარე სოფლებში კვლავ დაძაბული ვითარება იყო. ექსტრემისტებმა რამდენჯერმე ესროლეს საქართველოს მილიციის საგუშაგოს.

ცხინვალში მკვეთრად იმატა დანაშაულმა, არის მკვლელობა, ძარცვა, ყაჩაღობა. გაიზარდა შემოტანილი იარაღის რაოდენობა, განსაკუთრებით იმ ექსტრემისტების ხელში, რომლებიც სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოვიდნენ. ქალაქის მილიცია თავს ვერ ართმევს შექმნილ რთულ ვითარებას. შინაგანი ჯარის ნაწილებმა ამ ბოლო დღეებში გააძლიერეს პატრულირება ქალაქის ტერიტორიაზე, რაც ექსტრემისტების წინააღმდეგობას იწვევს. 18 თებერვლის ღამეს პატრულმა დააკავა ოსი ეროვნების ხუთი მოქალაქე, რომელთაც აღმოაჩნდათ სხვადასხვა ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის შაშხანა და გადაჭრილი თოფი, საბრძოლო ვაზნებით.

იმავე ღამეს ქალაქის სტადიონის მახლობელი პიკეტიდან, რომელიც ექსტრემისტებს აქვთ მოწყობილი, ავტომატების ცეცხლი დაუშინეს სამხედრო ნაწილის დასახლებას.

კვლავ სიძნელეებია ცხინვალის რაიონის ქართული სოფლების პროდუქტებით მომარაგებაში. 17 თებერვალს სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს მშრომელებმა აქ გამოგზავნეს 4 ტონა ფქვილი, ლერლილი, 4 ბიდონი ზეთი და კომბინირებული საკვები პირუტყვისათვის, რაც ადგილობრივმა მოსახლეობამ მადლიერებით მიიღო.

18 თებერვალს დღისით რეგიონში შედარებით სიმშვიდე იყო.

**საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი.**

## შკეთესის მოლოდინში

მართალია ჭერჭერობით არაფერი გაკეთებულა, ისევ მივტირით იმ დროს, როცა მაღაზიებში ხორცსაც ვიძენდით და კვერცხსაც, დროგამოშვებით კი ყველსაც. მაგრამ მაინც ჯიუტად უკეთესის მოლოდინში ვართ და ამის საფუძველიც გვაქვს, გაურკვევლობის ბურუსი იფანტება, ნათლად ჩანს დამოუკიდებლობისაკენ სავალი გზა, რესპუბლიკის გარდამავალი პერიოდის სამოქმედო ამოცანები.

არ შეიძლება კაცს გული არ გტკენდეს უმოქმედოდ მიტოვებული, გაპარტახებული, ათი ათასობით ღირებული მეცხოველეობის ფერმების შენობები, რომლებიც ამ ორიოდე წლის წინათ სავსე იყო მეხორცული თუ პროდუქტიული პირუტყვით. მერე კი ვინმეს ბედოვლათობით თუ გაუგებრობით დაცარიელდა შენობები. დაიბნა პირუტყვი, ბიუჯეტზე მყოფი ორგანიზაციებისთვისაც კი გაქრა ესოდენ საჭირო და აუცილებელი მეცხოველეობის პროდუქტები.

წიფერჩის კოლმეურნეობაში მიუხედავად მოთხოვნებისა მაინც ვერ გაიმეტეს და 16 პროდუქტიული ფური შემოინახეს, თქვსმეტი ნამატიც შეემატა და ნორმალურად აზამთრებენ. საკუთარივით მზრუნველობენ პირუტყვს მწველავები მედიკო ლიპარტელიანი და ნინა ნემსწვერიძე. დღიური წველა 70—80 ლიტრამდე აღწევს. ამ პატარა ფერმის წვლილიცაა წიფერჩელთა მიერ იანვრის თვეში სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ 21 ცენტნერ რძესა და 21.2 ცენტნერ ხორცში. გზადაგზა კვლავ შეემატება ნამატი, გაიზრდება წველადობა, კიდევ უფრო იმრავლებს საერთო დოვლათი.

დიახ, იმედი ჩნდება ადამიანის გულში. ვილაცის გვჯერა, გვეიმედება, რომ დამოუკიდებლობის გზაზე მდგარი საქართველოსათვის გარდამავალ პერიოდში ჯერ ასეა საჭირო.

კვლავ იმრავლოს ასეთი ფერმების რიცხვმა.

**ბ. ბაქრაძე.**

კომპეტენტური წყაროდან

## სიახლეები ვაჭრობაში

დღევანდელი მოულოდნელობით აღსავსე ცხოვრებისა და ექსტრემალური ვითარების გამო დაძაბული გახდა ჩვენი ყოფა. მწვავე ეკონომიკურ კრიზისში მყოფ ადამიანებს რწმენა ეკარგებათ და სხვა მრავალ სიძნელესთან ერთად, ყველას საწუხარი ერთია—რა მოგველის, რა იქნება ხვალ.

ამასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა რაიკოოპერატივის ფასების ეკონომისტს გ. ქომეთიანს, რომელმაც თქვა:

თანამედროვე გართულებული მდგომარეობის, ეკონომიკური კრიზისის, პოლიტიკური სტრუქტურის მსხვრევის შედეგად გამეფებული ანარქიისა და საქონლის მწვავე დეფიციტის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გააზრებულ მოქმედებას, სავაჭრო სისტემაში კომერციულ აზროვნებას. ვაჭრობის მუშაკთა აქტიურობას, მოსახლეობის საქონლით მომარაგებაში ხაელსაყრელი გზებისა და რესურსების ძიებას. გზა უნდა გადავუკეტოთ და არ დავუშვათ ეკონომიკური საბოტაჟი, რასაც ადგილი აქვს რესპუბლიკის ვაჭრობის სისტემაში.

სამრეწველო საქონლისა თუ სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად შემოღებულია სახელშეკრულებო (თავისუფალი) ფასების გამოყენების უფლება. ასე, მაგალითად, რაიკოოპერატივის ვაჭრობის განყოფილებას უფლება აქვს შეთანხმებულ (თავისუფალ) ფასებში ხელშეკრულება გააფორმოს მომწოდებელთან და ამის მიხედვით შემოიტანოს სასურსათო თუ სამრეწველო საქონელი.

მოსახლეობისათვის კარგად არის ცნობილი, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად, რესპუბლიკის ფასების სახელმწიფო კომიტეტისა და ვაჭრობის სამინისტროს ერთობლივი წერილის საფუძველზე 10 იანვრიდან ჩაისა და ჩაის პროდუქტებზე, თამბაქოს ნაწარმზე, არაყის ნაწარმზე მოხდა ფასების მომატება. 96 კაპიკად ღირებული ერთი შეკვრა ჩაი გახდა 2 მანეთი და 20 კაპიკი, სიგარეტი „კოსმოსი" (მაგარი შეფუთვა) ღირდა 1 მანეთი, გახდა 2 მანეთი და 50 კაპიკი, რბილი შეფუთვის „კოსმოსის" ფასი კი ახლა 2 მანეთი და 30 კაპიკია.

ვაჭრობის სისტემაში არსებულ სიახლეებთან ერთად ჩვენმა მოსახლეობამ უნდა იცოდეს ისიც, რომ საკავშირო მინისტრთა საბჭოს გასული წლის 17 მაისის დადგენილების საფუძველზე ახალი გადიდებული საშუალო სავაჭრო დათმობების შემოღებასთან დაკავშირებით, რომელიც გადაფარავს საჭაპანო წინამატების გაუქმების შედეგად გამოწვეულ ხარჯებს, „ცენტროსოიუზის" გასული წლის 14 დეკემბრის დადგენილების თანახმად მიმდინარე წლის პირველი იანვრიდან რკინიგზიდან დაშორებულ და მაღალმთიანი სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონებში მოიხსნა საჭაპანო წანამატების დარიცხვები ყველა საქონელზე, ეს იქნება სამრეწველო თუ სასურსათო. ხოლო სავაჭრო ობიექტებში ნაშთად არსებული საქონლის გადაფასება არ მოხდება.

აქვე აღსანიშნავია, რომ რადგან მომწოდებელი სავაჭრო დათმობას არ იძლევა, ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებით ორგანიზაციას რენტაბელობისა და ხარჯების დაფარვის მიზნით უფლება აქვს ოქროს ნაწარმზე მოახდინოს დარიცხვა 20 პროცენტის ოდენობით.

ვაჭრობის სისტემაში გარდა ზემოაღნიშნულისა, სხვა მოსალოდნელ სიახლეებზე ოფიციალური დოკუმენტი არ მოგვეპოვება და ამჯერად ვერაფერს გეტყვით.

## რევაზ მეთოდეს ძე მახარობლიძეს

საზოგადოება „ლეჩხუმის" გამგეობა გილოცავთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად არჩევას. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და ხანგრძლივ შემოქმედებით მუშაობას როგორც სამეცნიერო, ისე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

**საზოგადოება „ლეჩხუმის" თანათავმჯდომარე ჯონსულ მანდარია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების — საკრებულოების არჩევნების წინ

# საარჩევნო კომისიები

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება საქართველოს პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, შრომითი კოლექტივების, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებელთა კოლექტივების, ამომრჩეველთა ჯგუფების წარმომადგენლებისაგან.

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნებს ატარებენ:

ა. საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია,

ბ. ტერიტორიული საარჩევნო კომისიები—რაიონის, რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ზონის ტერიტორიული საარჩევნო კომისიები;

გ. ადგილობრივი საარჩევნო კომისიები—ქალაქების (გარდა რაიონული დაყოფის მქონე რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა) საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების საქალაქო, ქალაქის რაიონების საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების ქალაქის რაიონული, დაბების საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების სადაბო, სოფლების საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების სასოფლო საარჩევნო კომისიები;

დ. საუბნო საარჩევნო კომისიები.

საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება წარდგენილი იყოს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე.

საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება დანიშნულ იყოს საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი, რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატობის კანდიდატი, ნებისმიერი დონის საკრებულოს მდივანი, საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარე (გამგებელი) და მათი მოადგილეები, პრეფექტი და პრეფექტურის ხელმძღვანელი თანამდებობის პირები, არჩევნებში მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკისა და დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი. საარჩევნო კომისიების წევრებად თავისი წარმომადგენლების დანიშვნის უფლება აქვთ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რესპუბლიკის საკრებულოების არჩევნებში მონაწილეობის მიზნით რეგისტრირებული პარტიის რესპუბლიკურ ხელმძღვანელ ორგანოს ან პარტიის ხელმძღვანელ პირს—ყველა საარჩევნო კომისიაში, რეგიონულ (ადგილობრივ) ხელმძღვანელ ორგანოს ან მის ხელმძღვანელ პირს—შესაბამისა რეგიონის ტერიტორიაზე შექმნილ საარჩევნო კომისიებში, საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მოქმედი ჯგუფების კრებებს—შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიებში.

საარჩევნო კომისიების წევრებად თავისი წარმომადგენლების წარდგენის უფლება აქვთ:

1. საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ან მმართველობის ადგილობრივ ორგანოს შესაბამისი საკრებულოს ქვემდებარე ტერიტორიაზე მოქმედ საარჩევნო კომისიებში;

2 საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მოძრაობის რესპუბლიკურ ხელმძღვანელ ორგანოს ყველა საარჩევნო კომისიაში, რეგიონულ (ადგილობრივ) ხელმძღვანელ ორგანოს—შესაბამისი რეგიონის ტერიტორიაზე შექმნილ საარჩევნო კომისიებში, ადგილობრივი საარჩევნო კომისიის ქვემდებარე ტერიტორიაზე მოქმედი პირველადი ჯგუფების კრებებს—შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიებში;

3. ადგილობრივი საარჩევნო კომისიის ტერიტორიაზე განლაგებული შრომითი კოლექტივების კრებებს შესაბამის ადგილობრივ და საუბნო-საარჩევნო კომისიებში;

4. ამომრჩევლებს შესაბამის საარჩევნო კომისიაში განცხადების წარდგენის გზით ტერიტორიულ საარჩევნო კომისიაში, თუ განცხადებას ხელს აწერს შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები სულ ცოტა 100 ამომრჩეველი, ადგილობრივ საარჩევნო კომისიაში თუ განცხადებას ხელს აწერს შესაბამის ტერიტორიაზე მცხოვრები სულ ცოტა 50 ამომრჩეველი, და საუბნო საარჩევნო კომისიაში, თუ განცხადებას ხელს აწერს შესაბამის საარჩევნო ოლქში მცხოვრები სულ ცოტა 20 ამომრჩეველი.

საარჩევნო კომისიები (გარდა ცენტრალური საარჩევნო კომისიისა) თავმჯდომარეებსა და მდივნებს ირჩე[illegible]სიის სხდომაზე მისი შექმნისთანავე.

საარჩევნო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

საარჩევნო კომისიის ნებისმიერი ორი წევრი არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მთელი დროის განმავლობაში, ხოლო საუბნო-საარჩევნო კომისიის დანარჩენი წევრები არჩევნების მომზადების პერიოდის ბოლო 10 დღის განმავლობაში კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება გათავისუფლდნენ საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან. ამასთან, მათ დაენიშნებათ ხელფასი არა უმცირესი მათი საშუალო ხელფასის არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრებიდან. არასამუშაო დროის განმავლობაში კომისიაში შესრულებული სამუშაო მის წევრებს აუნაზღაურდებათ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ოდენობით არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრებიდან.

უკვე არჩეულია ცაგერის რაიონის ტერიტორიული საარჩევნო კომისია 13 კაცის შემადგენლობით.

---

## დეფიციტი: ელექტროენერგია

# მომჭირნედ, ყაირათიანად

საქართველოში მწვავე ენერგეტიკული კრიზისია. ამასთან დაკავშირებით მოსახლეობა და წამოება-დაწესებულებები მრავალჯერ იქნა გაფრთხილებული როგორც საქართველოს ტელევიზიით და რადიომაუწყებლობით, ასევე პრესის საშუალებით, რომ ელექტროენერგია ვხარჯოთ ეკონომიურად და იგი არ გამოვიყენოთ გათბობის მიზნით.

მიუხედავად ამისა ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებაში და მოსახლეობაში ყურად არ იღებენ თხოვნას და გაფრთხილებას, მაინც იყენებენ ელექტროენერგიას გათბობის მიზნით და უყაირათოდ ხარჯავენ მას, რასაც მოწმობს ჩვენს მიერ ჩატარებული შემოწმება-რეიდები.

რაიონის უმეტეს წარმოება-დაწესებულებებში გამოვლინდა ელექტროენერგიის უყაირათო ხარჯვის ფაქტები, რაც გამოიხატება თვითნაკეთი, კუსტარული და სხვა სახის ელექტროგამახურებელი ხელსაწყოების გამოყენებით.

ამ დღეებში მოწყობილი შემოწმებების მომენტში ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გამოყენებული იყო ელექტროგამახურებელი ხელსაწყოები: სასტუმრო „ლეჩხუმში", პურკომბინატისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში (საპარიკმახერო, საბნების კერვა, საავეჯო სახელოსნო, ფეხსაცმელების შემკეთებელი და სხვა), რაიკოოპერატივის ობიექტებში (სასურსათო, უნივერსალურ, საკომისიო, სამამულო ომის ინვალიდების, სამეურნეო, საქწიგნის და სხვა მაღაზიებში). ელექტროენერგიის უყაირათო ხარჯვა გამოვლინდა ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების ობიექტებში; კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, აგრეთვე მოსახლეობის დიდ ნაწილში.

შევახსენებთ რაიონის წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებს და მოსახლეობას—საჭიროა ანგარიში გაუწიონ ელექტროენერგიის დეფიციტის მდგომარეობას და შეწყვიტონ მისი გათბობის მიზნით გამოყენება, უმიზნოდ ანთებული არ დატოვონ არცერთი ნათურა. შემდგომში ანალოგიური დარღვევებისათვის ჩვენს მიერ მიღებული იქნება მკაცრი ზომები; ელექტრო ენერგიის შეწყვეტა, საჯარიმო სანქციები, პროკურატურაზე მასალების გადაცემა და სხვა.

დიდ შეფერხებებს იწვევს უნებართვოდ მიერთებული ობიექტები, კერძოდ, კოოპერატივები; „ძუღური", „თავთავი", „გუმარეში", „ოჯახური", „თაკვერი", სასტუმრო „ლეჩხუმი" და ამავე შენობაში არსებული რესტორანი და სამწვადე. საჭიროა ამ ობიექტების ხელმძღვანელებმა სასწრაფოდ გააფორმონ ობიექტები და მიიღონ ნებართვა ელექტროენერგიით სარგებლობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში შეუწყდებათ ელექტროენერგია და გავრცელდება ჯარიმა კანონის შესაბამისად.

ელქსელების ცაგერის სარეალიზაციო უბნის თანამშრომლები შეიძლება ითქვას, რომ თვალს ვხუჭავდით ძლიერი ყინვების დროს ზოგიერთ დაწესებულებაში გათბობის სისტემის უმოქმედობის გამო, სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ელექტროკურების გამოყენებისას, მაგრამ ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ რესპუბლიკაში ელექტროენერგიის დეფიციტის გამო გაჩერებულია მსხვილი ფაბრიკა-ქარხნები, თუ გავაგრძელებთ ელექტროგამახურებლების გამოყენებას ჩვენთანაც დაიწყება გამორთვები, რაც შეაფერხებს საავადმყოფოების, საზკვებისა და პურსაცხობის ობიექტების ნორმალურ მუშაობას.

წარმოება-დაწესებულებებს, კოოპერატივებს, მოსახლეობას, ელექტროენერგიის ყველა მომხმარებელს ვთხოვთ მომჭირნეობითა და ყაირათიანად ხარჯონ ელექტროენერგია.

დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის დავალიანების მქონე ორგანიზაციებს: კოოპერატივ „გუმარეშს", №23 საგზაო სამმართველოს, რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, კომუნალური მეურნეობის საწარმოთა კომბინატის, „კოლხიდმშენის" ცაგერის სანაპიროს მშენებლობის, ორბელის, ალპანის, ლასურიაშის, ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელებს ვაფრთხილებთ თუ მათზე რიცხული დავალიანებები დროულად არ იქნება ჩარიცხული, მათ შეუწყდებათ ელექტროენერგიის მიწოდება და თანხა გადახდებათ იძულების წესით.

**ზ. ახვლედიანი,**

ელქსელების ცაგერის ხარეალიზაციო უბნის უფროსი.

---

## მშენებლობა

# მოვიფიქროთ!

რამდენადაც მე მუშაობა მიხდება საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციაში, რომელიც აწარმოებს 48-ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას ქალაქ ცაგერში, ხშირად მეკითხებიან, მალე დამთავრდება თუ არა მშენებლობა. ბუნებრივია, ამას მეკითხებიან პირები, რომლებიც ელოდებიან ბინების მიღებას. ჩემი პასუხი ყოველთვის უიმედოა: თუ არ გაუმჯობესდა სამშენებლო მასალების მიწოდების მდგომარეობა, სახლის ექსპლოატაციაში გაშვება გაჭიანურდება.

როგორი მდგომარეობა არის ამჟამად მშენებლობაზე?

48—ბინიდან 24 ბინის ექვსი კორპუსიდან (სამი კორპუსი,) მშენებლობა ძირითადად დამთავრებულია. ის, რის გაკეთებაც შეიძლებოდა არსებული საშუალებებით, მხედველობაში მაქვს სამშენებლო მასალები, გაკეთებულია. დარჩენილია ძირითადად სანტექნიკის, სამღებრო და ნაწილობრივ ხის სამუშაოები.

სანტექნიკის შესასრულებლად მასალები ძირითადად მიტანილია. პირველ რიგში აუცილებელია ხის სამუშაოების დამთავრება (კარ-ფანჯრები).

ხის მასალა არ გვაქვს, მოსალოდნელია მისი მიღება დაგვიანდეს. მივიღებთ და უმალ მისი გამოყენება შეუძლებელი იქნება. გამოდის, რომ ძალზე გაჭიანურდება სახლის ჩაბარება. ეს კი ხალხის უკმაყოფილებასაც იწვევს და ხშირად რაც გაკეთებულია, ისიც ფუჭდება ვაიადამიანებისაგან. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პროექტის შესაბამისად, ზოგიერთი ისეთი სახის სამუშაოები სრულდება, რომელიც შემდგომ ბინის მფლობელისათვის სასურველი არ იქნება, როგორიცაა კედლების შეღებვა ზეთოვანი საღებავებით, იატაკზე დაბალი ხარისხის ლინოლეუმის დაგება და სხვა.

აღნიშნული სამი კორპუსის (24 ბინის) მშენებლობის დასრულება და დროულად ექსპლოატაციაში გაშვება რომ მოხდეს, მიზანშეწონილად მიმაჩნია აღნიშნული ბინები განაწილდეს მობინადრეებზე კუთვნილებისამებრ, რომელთა უმრავლესობა ჩვენთან ერთად გამონახავს საშუალებებს ბინის დასამთავრებლად, თავიდან იქნება აცილებული ძალთი სამუშაოების შესრულება, როგორიც მათთვის სასურველი არ არის. ამასთან გამორიცხული არ არის ფიზიკური შრომითი მონაწილეობაც მიიღოს კუთვნილი ბინის დასამთავრებელ სამუშაოებზე, ჩვენთან კუთვნილი ხელფასის ანაზღაურებით და სხვა.

ვფიქრობ, მოწოდებული ორგანოები და ხელმძღვანელები გააანალიზებენ აღნიშნულ ფაქტს, გადაწყვეტენ მას დადებითად, ამით გაკეთდება ორი საქმე: მობინადრე დროულად მიიღებს კუთვნილ ბინას, მისთვის სასურველ ფორმაში. ამასთანავე თავიდან იქნება აცილებული ბინებში შესვლამდე გაკეთებულის ხელყოფა. უნდა აღინიშნოს, რომ ბინების მშენებლობის დამთავრებამდე განაწილების მრავალი შემთხვევაა ცნობილი და ეს ახალი არ არის პრაქტიკაში.

**კ. ღურჭუმელიძე,**

საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციის პროფკომიტეტის თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სკოლა და ცხოვრება

არც თუ ისე დიდი ხნის წინათ საქართველოს ისტორიის სწავლება ქართულ სკოლებში თითქმის უგულვებელყოფილი იყო. იგი, როგორც ცალკე სასწავლო საგანი მხოლოდ მე-8 კლასში ისწავლებოდა. მე-9-10-11 კლასებში საქართველოს ისტორიის საკითხები სსრ კავშირის ისტორიის კურსში შეისწავლებოდა და მას 10-10 საათი ეთმობოდა. ქართველი ბავშვი ისე ამთავრებდა სკოლას, რომ თავისი ხალხის გმირული ისტორიის შესახებ წარმოდგენაც არ ჰქონდა.

# უკეთ ვასწავლოთ ჩვენი ერის ისტორია

ბოლო დროს ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა სასიკეთოდ და ეს დაეტყო სკოლასაც. შემუშავებული იქნა ქართული ეროვნული სკოლის კონცეფცია, მიღებული იქნა დადგენილება საქართველოს ისტორიის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისა და სრულყოფის შესახებ. მომზადდა საქართველოს ისტორიის ახალი პროგრამა, ცალკე საგნად გამოიყო საქართველოს ისტორია მე-9-10-11 კლასებში. გამოიცა ლ. სანიკიძის, რ. მეტრეველის და ი. მახარაძის „ჩვენი სამშობლოს მატიანე"—მე-5 კლასის სახელმძღვანელო. შედგენილი იქნა ავტორთა კოლექტივის ახალი სახელმძღვანელო საქართველოს ისტორიაში მე-8-9 კლასებისათვის. ახლახან გამოვიდა ვ. ლომაშვილის მე-10 კლასის სახელმძღვანელო. იწერება და ალბათ ახალი სასწავლო წლისათვის გამოვა მე-11 კლასის სახელმძღვანელო. ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ქვეყნდება სათანადო პუბლიკაციები საბჭოური პერიოდის საქართველოს ისტორიის შესახებ, რაც გარკვეულ დახმარებას უწევს პედაგოგებს საგნის სწავლების საქმეში. გამოდის ახალი რუკები, მეთოდური და დამხმარე ლიტერატურა, კინოფილმები და დიაფილმები.

მიმდინარე სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან კიდევ უფრო გაიზარდა საათების რაოდენობა საქართველოს ისტორიაში. ახლა ამ საგნის სწავლებას ხმარდება მე-5-8-9-10-11 კლასებში ორ-ორი საათი, ნაცვლად სასწავლო გეგმით გათვალისწინებული თითო საათისა.

მე-5 კლასის სასწავლო გეგმიდან ამოღებულია „ეპიზოდური მოთხრობები სსრ კავშირის ისტორიიდან". ყველა კლასში სსრ კავშირის ისტორია შეცვლილია მსოფლიო ისტორიის კურსით.

საქართველოს ისტორიას რაიონის სკოლებში ასწავლის 31 მასწავლებელი, რომელთაგან თითქმის ყველას უმაღლესი განათლება და საკმაო პედაგოგიური გამოცდილება აქვს. შარშან მე-10-11 კლასების ყველა მასწავლებელმა გაიარა ქუთაისის დახელოვნების ინსტიტუტთან მოწყობილი მოკლევადიანი გადასამზადებელი კურსები. რაიონის სკოლებს სისტემატურად ვაწვდით მეთოდურ რეკომენდაციებს იმ სიახლეების შესახებ, რომლებიც ამ საგნის სწავლების სრულყოფასთან არის დაკავშირებული. მიმდინარე წლის იანვარში ისტორიის მასწავლებელთა სარაიონო მეთოდგაერთიანების სხდომაზე გაიშალა ფართო აზრთა გაზიარება განათლების სამინისტროს მიერ მოცემულ რეკომენდაციებზე ისტორიის სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში ცვლილებების შესახებ.

განათლების განყოფილება და მისი მეთოდური კაბინეტი ყოველნაირად ცდილობენ გაზარდონ მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინტერესი ჩვენი სამშობლოს ისტორიის შესწავლისადმი. ამას ისახავდა მიზნად ვიქტორინა, რომელიც შარშან მოეწყო. ვიქტორინაში მონაწილეობდა რაიონის 18 საშუალო და არასრული საშუალო სკოლის 50-ზე მეტი მოსწავლე.

უკანასკნელ წლებში რაიონის სკოლებში მნიშვნელოვნად ამაღლდა საქართველოს ისტორიის სწავლების დონე. ეს მნიშვნელოვნად განაპირობა ზემოთ ჩამოთვლილმა ღონისძიებებმა. მასწავლებელთა უმრავლესობა მთელი პასუხისმგებლობით მუშაობს, გულდასმით ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის, მოფიქრებულად ატარებს მას და აღწევს მოსწავლეთა დაინტერესებას. კარგად ისწავლება ეს საგანი ცაგერის, ბარდნალის, ალპანის, ტვიშის, ლაილაშის, ლასურიაშის საშუალო, ქვედა ცაგერის, მახაშის, დეხვირის, საირმის, ზოგიშის არასრულ და ზოგიერთ სხვა სკოლაში. აღნიშნული სკოლების პედაგოგები მოსწავლეთა წინაშე აყენებენ გააზრებულ, მოფიქრებულ საკვანძო საკითხებს, რომლებიც მოითხოვენ დაფიქრებას, მსჯელობას, დასკვნების გამოტანას. ამით მოსწავლეებს უმუშავებენ ლოგიკური აზროვნების, ფაქტებსა და მოვლენებში გარკვევის უნარ-ჩვევებს.

საქართველოს ისტორიის მასწავლებლებს გარკვეულ დახმარებას უწევს სასკოლათშორისო და სარაიონო მეთოდგაერთიანებები. ბევრი მეთოდგაერთიანება მოფიქრებულად წარმართავს მუშაობას, ნაყოფიერად მუშაობს სარაიონო მეთოდგაერთიანებაც (ხელმძღვანელი დ. გასვიანი). აღსანიშნავია, რომ ისტორიის მეთოდგაერთიანებათა მუშაობაში მთავარი ადგილი ეთმობა საქართველოს ისტორიის სწავლების მეთოდიკის საკითხებს, რაც დიდად ეხმარება ამ საგნის მასწავლებლებს პრაქტიკულ მუშაობაში.

ისტორიის ბევრმა მასწავლებელმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ დღეებში გამართულ პედაგოგიურ კითხვაში. მოწონება დაიმსახურა ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლის რ. ბაქრაძის თემამ „სამშობლოს სიყვარულის აღზრდა საქართველოს ისტორიის სწავლების პროცესში" და ლაილაშის საშუალო სკოლის მასწავლებლის ი. სანთელაძის თემამ „როგორ ვიყენებ მხატვრულ ლიტერატურას საქართველოს ისტორიის სწავლებისას". ორთავე თემა გაიგზავნა რესპუბლიკურ პედაგოგიურ კითხვაში მონაწილეობისათვის.

საქართველოს ისტორიის სწავლებაში ნაკლოვანებანიც თვალსაჩინოა. ზოგი მასწავლებელი ნაკლებად ემზადება გაკვეთილისათვის, არ ცდილობს მხარი აუბას სიახლეებს სწავლებაში, გულგრილად ეკიდება გაკვეთილებზე თვალსაჩინოების, ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებას, ნაკლებ ყურადღებას უთმობს სწავლების პროცესში აღმზრდელობითი მომენტების წინ წამოწევას, ეფექტურად ვერ იყენებს სკოლისგარეშე და კლასგარეშე ღონისძიებათა ფართო შესაძლებლობას.

ზოგიერთი იმიზეზებს სიძნელეებს, რომლებიც საგნის სწავლებასთან არის დაკავშირებული და არაფერს აკეთებს მის დასაძლევად, ნაკლებად ავარჯიშებს ბავშვებს პარაგრაფის ბოლოს დასმულ კითხვებზე და დავალებებზე, სახელმძღვანელოში მოცემულ დოკუმენტებზე, სურათებზე, სქემებზე, რუკებზე.

მთელ რიგ სკოლებში მოუწყობელია ისტორიის კაბინეტები, მცირეა საქართველოს ისტორიის სწავლებისათვის თვალსაჩინო მასალები. ნაკლოვანებებია ისტორიის შემსწავლელი წრეების მუშაობაში, ეს წრეები ყველგან უნდა გადაკეთდეს საქართველოს ისტორიის შემსწავლელ წრეებად.

საქართველოს ისტორიის, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო საგნის დამკვიდრება ჩვენს სკოლებში საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ეროვნული კონცეფციის გამარჯვებაა და იმ სიახლეების შედეგია, რომელიც გაბედულად ინერგება ჩვენს ცხოვრებაში.

მართალია, საგნის სწავლებაში ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა და სიძნელეა, არ გვაქვს მე-11 კლასის სახელმძღვანელო, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა, ცოტაა გადიდებული კედლის რუკები, სასწავლო ფილმები და დიაფილმები, მაგრამ დროთა განმავლობაში ყველაფერი ეს შეივსება და საქართველოს ისტორიის შესწავლა მკვიდრ ნიადაგზე დადგება.

ჩვენთვის, ქართველებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის გმირული წარსულის შესწავლა. იგი ჩვენს მოსწავლეებს შეაყვარებს თავის სამშობლოს, გამოუმუშავებს პატრიოტიზმისა და ერთგულების დიად გრძნობას.

ლ. ჩიქოვანი,

განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის გამგე.

---

ჩვენ გვწერენ

## კარი ღიაა

საბავშვო ბიბლიოთეკის ამოცანაა სწორად წარმართოს მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვა, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა ბავშვში იწყება ხასიათის ჩამოყალიბება. ამ ასაკში წაკითხული წიგნი მეხსიერებაში რჩება თითქმის მთელი ცხოვრების მანძილზე და გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე.

იმისათვის, რომ მომავალი თაობა მცოდნე, შრომისმოყვარე და კულტურული გაიზარდოს ყველა ღონეს ვხმარობთ. მკითხველთა მოზიდვისათვის ვიყენებთ მომსახურების ახალ-ახალ ფორმებს და მეთოდებს. დიდსა და პატარას ყველას იზიდავს ბიბლიოთეკის დარბაზი. წელს კიდევ ერთი გამოფენა შეემატა ჩვენს [illegible] გავაკეთეთ წიგნების გარეკანის ილუსტრირება და გამოფენას მივეცით სათაური „აბა გამომიცანი". ქართველ პოეტთა პორტრეტებით გავაკეთეთ სტენდი სათაურით „ქართული პოეზიის თანავარსკვლავედი".

ბავშვები ჩვენი მომავალია, მათ ყურადღება და მზრუნველობა სჭირდებათ და ჩვენც მზად ვართ ახლებურად ვემსახუროთ მათ.

საბავშვო ბიბლიოთეკის კარი ღიაა ყველა მოსწავლისათვის.

თ. ტვილდიანი,

სარაიონო საბავშვო ბიბლიოთეკის გამგე.

---

## სამკურნალო მცენარეები

# ნიორი

ნიორი თითქმის მთელი მსოფლიოს მოსახლეობისათვის არის ცნობილი. ჩვენში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქართული სუფრის ბევრი კერძი უნივროდ წარმოუდგენელია.

ძველ საბერძნეთსა და რომში არც ერთი წამალი არ სარგებლობდა ისეთ პოპულარობით, როგორც ნიორი, დიდმა ბრძენმა როგორც ნიორი.

ძველად ეგვიპტეში ნივრის გავრცელებაზე და მოყვანაზე ფარაონები თვითონ ზრუნავდნენ. ცნობილია, რომ ფარაონ ხეოფსის ბრძანებით მონებს, რომლებიც პირამიდების აგებაზე მუშაობდნენ, ეძლეოდათ ნივრის ნორმა, რომელიც მათ ძალ-ღონეს მატებდა და სხვადასხვა დაავადებებისაგან იცავდა. ნიორს პოულობდნენ ეგვიპტის პირამიდებში არსებულ სარკოფაგებში. ნიორი ძველ რომში შედიოდა ლეგიონერთა ულუფაში, როგორც ჯარისკაცთა საბრძოლო თვისებების გამაძლიერებელი.

მეცნიერებმა შეისწავლეს ნივრის შემადგენლობა და აღმოჩნდა იგი რთული აგებულების ბოსტნეული. იგი დიდი რაოდენობით შეიცავს ეთერზეთს—ფიტონციდს, რომელიც გამოყოფს მიკრობების მომაკვდავ სუნს. გარდა ამისა ნიორში შედის აზოტოვანი ნივთიერებანი ალიინის გლიკოზიდი, ფოტოსტერინები, ლითონთა მარილები. ნიორი შეიცავს 61,3 პროცენტ წყალს, 6,6 პროცენტ აზოტოვან ნივთიერებებს, 0,10 პროცენტ ცხიმს, 30,4 პროცენტ ნახშირწყლებს, ვიტამინ „ც"-ს.

აღნიშნულის გარდა, მის შემადგენლობაში შედის მიკროელემენტები: კალიუმი, ნატრიუმი, კირი, მაგნეზია, ქლორი, ფოსფორი და გოგირდმჟავა.

შეიძლება ითქვას, არც ერთ ბოსტნეულს არა აქვს იმდენი სამკურნალო თვისება, როგორც ნიორს. თანამედროვე მედიცინაში ცნობილია, რომ ნიორი ძალზე კარგი ანტისეპტიკური საშუალებაა, ის იხმარება კუჭნაწლავის დაავადებისას, კერძოდ, ქრონიკული კოლიტის დროს, სასუნთქი ორგანოების ბრონქიტის, ქოლერის, მუცლის ტიფის, დიზენტერიის, გრიპის პროფილაქტიკურ საშუალებად. ნიორს მიაწერენ ტუბერკულოზის გამომწვევი ბაცილების (კოხის ჩხირების) საწინააღმდეგო მოქმედებას. ნივრის სპირტიანი ექსტრაქტი აღაგზნებს კუჭის ჯირკვლების სეკრეციას, ამის გამო მისი ხმარება შედეგიანია კუჭის წვენის დაქვეითების დროს.

ნიორი დადებით სამკურნალო გავლენას ახდენს ათეროზსკლეროზით დაავადებულებზე.

ნივრის სამკურნალო პრეპარატია ალოქოლი, რომელიც იხმარება ნაღვლის ბუშტისა და ნაღვლის სადინარების მკურნალობისათვის, გამოყენებულია აგრეთვე ბავშვთა ჭიების მკურნალობაში. ნაწლავების დაავადების დროს საუკეთესო საშუალებად ითვლება დიეტური საჭმელი ხაში, რომელიც ბიოლოგიურად მეტად საჭირო ნივთიერებებს შეიცავს ნივრის სახით.

ნიორი დაბლა წევს სისხლის წნევას, აფართოებს სისხლძარღვებს, აძლიერებს გულის კუნთის მუშაობას, ანელებს გულისცემას. ნივრიდან მიღებულია ანტიბიოტიკი ალიცინი, რომლის სრულიად უმნიშვნელო რაოდენობა სპობს ბაქტერიებს. თანამედროვე მედიცინაში მას იყენებენ მადის მოსაყვანად, საჭმლის მონელების გასაუმჯობესებლად, პირის ღრუს დაავადების საწინააღმდეგოდ.

როგორც სხვა წამალს, ნიორსაც აქვს უარყოფითი თვისებები: იგი არ გამოიყენება ღვიძლის, თირკმელების ანთების დროს და აქტიური წყლულოვანი დაავადებების შემთხვევაში. უარყოფითი თვისება ისიცაა, რომ აქვს სპეციფიკური სუნი.

ნიორი ერთწლიანი მცენარეა, მისი ფოთლები ვიწროა, გრძელი თასმისმაგვარი, მუქი მწვანე ფერისაა. ნიორს ხმარობენ როგორც ნედლად, ისე მწნილის სახით სხვადასხვა საჭმელების მოსამზადებლად. ნივრის ბოლქვი ფორმით მოგრძელოა, ან მრგვალი და შეიცავს ბარტყებს ან კბილებს 6—20 ცალამდე. თითოეული მათგანი მოთავსებულია თხელ აპკში. ნიორი უმთავრესად ვეგეტატიური ნაწილებით (კბილებით) მრავლდება.

დაინიელ ყურაშვილი,

ბიოლოგი.

---

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკაკი რომანოზის ძე მურცხვალაძე



გარდაიცვალა ომისა და შრომის ვეტერანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, 1944 წლიდან კომუნისტური პარტიის წევრი აკაკი რომანოზის ძე მურცხვალაძე.

ა. რ. მურცხვალაძე დაიბადა 1921 წელს ცაგერის რაიონის სოფელ ჩხუტელში. ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, 1941 წელს, გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, საიდანაც დემობილიზებული იქნა 1945 წელს.

საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ სასწავლებლად შევიდა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სატყეო მეურნეობის ფაკულტეტზე და დაამთავრა 1951 წელს.

სხვადასხვა დროს მუშაობდა ცაგერის სატყეო მეურნეობისა და სამრეწველო კომბინატის მთავარ ინჟინრად, მუშაობდა ლენტეხის სატყეო მეურნეობის დირექტორად, 20 წლის მანძილზე, 1959 წლიდან 1979 წლამდე, ცაგერის სატყეო მეურნეობის დირექტორი იყო. პენსიაზე გასვლამდე მუშაობდა ამავე სატყეო მეურნეობის ტყის დაცვის ინჟინრად. სატყეო უბნის ოსტატად.

სატყეო მეურნეობის დირექტორად მუშაობის პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა რაიონის ფლორისა და ფაუნის დაცვისათვის, ათეულობით ჰექტარზე გაშენდა წიწვოვან მცენარეთა მასივები.

წლების მანძილზე არჩეული იყო სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ.

ა. რ. მურცხვალაძე დაჯილდოებული იყო დიდი სამამულო ომის II ხარისხის ორდენით და მრავალი მედლით. რაიონის მშრომელებში იგი სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით, იცნობდნენ როგორც მაღალკვალიფიციურ სპეციალისტს, პრინციპულ და მომთხოვნ ხელმძღვანელს, საქმისათვის თავდადებულ, ნაღდ და უღალატო კაცს.

შესანიშნავი მოქალაქის, კეთილი და უპრეტენზიო ადამიანის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მის მეგობარ-ახლობლებისა და ყველას გულში, ვინც მას იცნობდა.

ომისა და შრომის ვეტერანთა რაიონული საბჭო.

---

## გილოცავთ

**ავთო ქაჯანას ძე მუშკუდიანს**

გილოცავ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მინიჭებას. გისურვებ თვალსაჩინო წარმატებებს სამეცნიერო მოღვაწეობაში, დიდ ადამიანურ ბედნიერებას პირად ცხოვრებაში.

ციცო ურთმელიძე.

**ნანა ბახვას ასულ კოპალიანს**
**გოგი აქვსენტის ძე გოლეთიანს**

გილოცავთ პირველი შვილის—ვაჟიშვილის შეძენას. კიდევ მრავალ სიხარულს შეევსოს თქვენი ლამაზი ოჯახის ფუძე-ჭერი. დაგბედებოდეთ შვილთა სიმრავლე. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ლანა, ლელა, ლაშა ბურჯალიანები.

**ნაზიკო, როზა, აქვსენტი გოლეთიანებს**
**იზო, ნინო, ბახვა კოპალიანებს**
**ჟუჟია კოპალიანს, თინა გოგოხიძეს**

გილოცავთ ვაჟიანობას. აღზრდილიყოს ღირსეული ქართველი. შემატებოდეს მრავალი და-ძმა, გფარავდეთ მაღალი ღმერთი.

ლანა, ლელა, ლაშა ბურჯალიანები.

**ნადია, ვერა, ციალა, ჟუჟა ხეცურიანებს**

გილოცავთ დიტოს უმაღლეს სასწავლებელში მიწყობას, კვლავ წარმატებებით ევლოს.

მურთაზ ჩაკვეტაძე ოჯახით.

**ინგუდი პარიმონის ასულ ახვლედიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას შენს საყვარელ ქმარშვილთან ერთად.

მანანა თუთისანი, თალიკო სილაგაძე, ნაზიკო ფრუიძე, თინა გასვიანი, კაპიტო ჩიქოვანი, მარიკა დოლბაია, ნინელი ჯიაძე.

**დათო ფოჩხიძეს**

გილოცავთ დისშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი. ღმერთი იყოს მისი მფარველი.

ნათია ფოჩხიძე, ირმა სვანიძე, სოფო კვირკაშვილი, ნატო კვენეტაძე, იზა, ნათია სილაგაძეები.

**გიზო აფთიონის ძე კოპალიანს**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიცოცხლეს და სიყვარულს თქვენი ლამაზი ცხოვრების გზაზე.

მამუკა სალინაძე.

**ნინო შალვას ასულ უგრეხელიძეს**
**ჯონი ჟორას ძე ქომეთიანს**

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. აღზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი, ღმერთი იყოს მისი მფარველი.

ნანა, ჟენია, კირილე, დემურ, ფოთოლა, ნატო, ნათია ქომეთიანები.

---

შვილები ნოდარი, დოდო, ლენა, ჟუჟუნა, გელა, რძლები ნანული დავითულიანი, გულიკო ახვლედიანი, ნინო ყუ[illegible]შვილი, სიძეები ოთარ, გივი ლიპარტელიანები, გივი ჩაფრავა, გოჩა თანანაშვილი, ჯეირან ახვლედიანი, ჯონი დოლიძე, შვილიშვილები მამუკა, გულსუნდა, ლელა, ბელა, შორენა, მარინე, მანანა, მალხაზი, მურმანი, მაყვალა, მადონა, ციცინო, ნატო, გოგიტა, ნატო, შვილთაშვილები, დისშვილები ბიჭიკო, შურა შკუბულიანები, ბაბუცა ბაქრაძე, ალიოშა მამარდაშვილი, ცოლისდიშვილები, ცოლისძმისშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვლადიმერ ივანეს ძე სალინაძე**

დაკრძალვა 24 თებერვალს, კვირას, ქ. ცაგერში.

---

ბიძაშვილები თამარა, მიშა, ფუცე კვირკაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აკაკი რომანოზის ძე მურცხვალაძე.**

---

[illegible]ისანეპიდსადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნინო მურცხვალაძეს ბიძის

**აკაკი მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

---

რაისანეპიდსადგურის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მთვარისა და ბორის გოლეთიანებს ძმისა და ცოლისძმის

**თენგიზ არტემის ძე ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აკაკი რომანოზის ძე მურცხვალაძე.**

---

კავშირგაბმულობის ორბელის განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ლია გვიშიანს დედამთილის

**ნადია ლეშკაშელის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის სატყეო მეურნეობის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აკაკი რომანოზის ძე მურცხვალაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ცაგერის ბაგა-ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვიოლეტა მურცხვალაძეს მამის

**აკაკი მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილები ვიოლა, ნანა, ბორისი, რძალი ფერიდა გეგუჩაძე, სიძეები დემურ გურეშიძე, მამუკა ბოჭორიშვილი, ზურაბ ვარდანიძე, შვილიშვილები მაია, მამუკა გედენიძეები, ირმა, იზა, ზაზა გურეშიძეები, დათო, მანუჩარ, თამრიკო, მარიკა სვანიძეები, ძმისშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამარ ივანეს ასული მამარდაშვილი-სვანიძე.**

გამოსვენება 24 თებერვალს, კვირას 4 საათზე სოფ. ქვედა ცაგერიდან, დაკრძალვა სოფ. ლუხვანოში.

---

ლილი, ვენედი ცხვედიანები ოჯახით იუწყებიან

**ვლადიმერ სალინაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ცაგერის საშუალო სკოლის VIII-ა კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი თანაუგრძნობენ მარიკა და მანუჩარ გოლეთიანებს ბიძის

**თენგიზ ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაგერის საშუალო სკოლის VIII-ბ კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი თანაუგრძნობენ სოსო ჩორგოლიანს ბაბუის

**აკაკი მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ლაჯანის სკოლა-ინტერნატის VII კლასის მოსწავლეები თანაუგრძნობენ ელისო ხვადაგიანს ბაბუის

**ვარლამ ხვადაგიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ცაცა მელაძე, ოფშინა ცვარიანი, ჯუმბერ, არჩილ ახვლედიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აკაკი რომანოზის ძე მურცხვალაძე**

---

გრიგოლ სილაგაძე, იორამ ჩარკვიანი, გურგენ დავითულიანი, კარლო ჩაკვეტაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ვლადიმერ სალინაძე.**

---

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა

**აკაკი რომანოზის ძე მურცხვალაძე.**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციისა და რაიონული სტამბის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ვალტერ მურცხვალაძეს და თემურ ჩორგოლიანს მამისა და სიმამრის

**აკაკი რომანოზის ძე მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

---

ლედი, ზურაბ, ბორის გოგიძეები, გრიშა, სულიკო ნემსწვერიძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თენგიზ ბურჯალიანი.**

---

ოთარ, გოგი მუშკუდიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აკაკი რომანოზის ძე მურცხვალაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

დოდო, ნოდარ ნემსაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**აკაკი რომანოზის ძე მურცხვალაძე**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

ავთო ბერიძე, კაკო ჩარკვიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მთვარისა და ბორის გოლეთიანებს

**თენგიზ ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

უახლოესი მეზობლები ნუგზარ, რამაზ ჩიქოვანები, გივი ახვლედიანი, გივი კოპალიანი, დათო, ავდიდო ხეცურიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ მთვარისა, ბორის გოლეთიანებს ძმისა და ცოლისძმის

**თენგიზ ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

ვალერიან, თენგიზ, დათო, სერგო, კუკური ჩიქოვანები, ალექსანდრე ბერიძე, პოლიაქტოზ ჩხეტიანი, ჯუმბერ ცვარიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ მთვარისა და ბორის გოლეთიანებს ძმისა და ცოლისძმის

**თენგიზ ბურჯალიანის**

გარდაცვალების გამო.

---

გურამ, ჯანსულ, ჯონი ჩორგოლიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ ვიოლეტა და თემურ ჩორგოლიანებს მამისა და სიმამრის

**აკაკი მურცხვალაძის**

გარდაცვალების გამო.

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №58 ტელეფონები: რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის—22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-8[illegible], სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41, საკორექტოროს—22-48. სტამბის დირექტორის—22-17, საამწყობრო საამქროს—22-28, გაზეთი გამოდის ხუთშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შეკვეთა №14 ტირაჟი 4683

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.